

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17

2019 წლის 25 ივლისი

ქ. ახალქალაქი

„ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
 ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის №49
 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგინდა:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის №49 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.141.016274) შეტანილი შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 16194965 (თექვსმეტი მილიონ ას ოთხმოცდაათოთხმეტი ათას ცხრასსამოცდახუთი) ლარის ოდენობით და ხარჯების მიხედვით 20057185 (ოცი მილიონ ორმოცდაჩვიდმეტი ათას ას ოთხმოცდახუთი) ლარის ოდენობით, გარდამავალი ნაშთი შეადგენს 786 (შვიდას ოთხმოცდაექვსი) ლარს დანართის შესაბამისად“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის
 საკრებულოს თავმჯდომარე

ნაირი ირიციან

დანართი 1

თავი I

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წელი გეგმა	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის ფაქტი	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2019 წლის გეგმა	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
შემოსავლები	11723,1	3205,1	8518,1	17447,9	3167,7	14280,2	16085	7115,0	8970,0
გადასახადები	6970,0	0,0	6970,0	7625,3	0,0	7625,3	7500,0	0,0	7500,0
გრანტები	3420,1	3205,1	215,0	3382,7	3167,7	215,0	7330,0	7115,0	215,0
სხვა შემოსავლები	1333,0	0,0	1333,0	6439,9	0,0	6439,9	1255,0	0,0	1255,0
ხარჯები	7883,1	0,2	7882,9	6754,5	0,2	6754,3	9387,7	745,2	8642,5
შრომის ანაზღაურება	1989,6	0,0	1989,6	1902,2	0,0	1902,2	2156,0	0,0	2156,0



საქონელი და მომსახურება	1029,2	0,0	1029,2	750,6	0,0	750,6	2523,9	745,2	1778,7
პროცენტი	112,6	0,0	112,6	111,9	0,0	111,9	57,3	0,0	57,3
სუბსიდიები	3124,1	0,0	3124,1	2895,5	0,0	2895,5	3437,4	0,0	3437,4
გრანტები	40,0	0,0	40,0	40,0	0,0	40,0	55,0	0,0	55,0
სოციალური უზრუნველყოფა	790,2	0,0	790,2	688,5	0,0	688,5	783,0	0,0	783,0
სხვა ხარჯები	797,4	0,2	797,2	365,8	0,2	365,6	375,1	0,0	375,1
საოპერაციო სალდო	3840,0	3204,9	635,1	10693,4	3167,5	7525,9	6697,3	6369,8	327,5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	8195,4	3347,8	4847,6	6654,6	2757,7	3896,9	10371,5	6922,5	3449,0
ზრდა	8305,4	3347,8	4957,6	6713,8	2757,7	3956,1	10481,5	6922,5	3559,0
კლება	110,0	0,0	110,0	59,2	0,0	59,2	110,0	0,0	110,0
მთლიანი სალდო	-4355,4	-142,9	-4212,5	4038,8	409,8	3629,0	-3674,2	-552,7	-3121,5
ფინანსური აქტივების ცვლილება	-4531,1	-142,9	-4388,2	3863,1	409,8	3453,3	-3862,2	-552,7	-3309,5
ზრდა	0,0	0,0	0,0	3863,1	409,8	3453,3	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტი	0,0	0,0	0,0	3863,1	409,8	3453,3	0,0	0,0	0,0
კლება	4531,1	142,9	4388,2	0,0	0,0	0,0	3862,2	552,7	3309,5
ვალუტა და დეპოზიტი	4531,1	142,9	4388,2	0,0	0,0	0,0	3862,2	552,7	3309,5
ვალდებულებების ცვლილება	-175,7	0,0	-175,7	-175,7	0,0	-175,7	-188,0	0,0	-188,0
კლება	175,0	0,0	175,7	175,7	0,0	175,7	188,0	0,0	188,0
საშინაო	175,7	0,0	175,7	175,7	0,0	175,7	188,0	0,0	188,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,000	0,0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება



განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წელი გეგმა	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის ფაქტი	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2019 წლის გეგმა	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
შემოსულობები	11833,1	3205,1	8628,0	17507,1	3167,7	14339,4	16195,0	7115,0	9080,0
შემოსავლები	11723,1	3205,1	8518,0	17447,9	3167,7	14280,2	16085,0	7115,0	8970,0
არაფინანსური აქტივების კლება	110,0	0,0	110,0	59,2	0,0	59,2	110,0	0,0	110,0
გადასახდელები	16244,6	3348,0	12896,6	13644,0	2757,9	10886,1	20057,2	7667,7	12389,3
ხარჯები	7727,2	0,0	7727,2	6754,5	0,2	6754,3	9387,7	745,2	8642,5
არაფინანსური აქტივების ზრდა	8341,7	3348,0	4993,7	6713,8	2757,7	3956,1	10481,5	6922,5	3559,0
ვალდებულების კლება	175,7	0,0	175,7	175,7	0,0	175,7	188,0	0,0	188,0
ნაშთის ცვლილება	4411,5	142,9	4268,6	3863,1	409,1	3453,3	-3862,2	-552,7	-3309,3

მუხლი 3. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 16085,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წელი გეგმა	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის ფაქტი	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2019 წლის გეგმა	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
შემოსავლები	11723,1	3205,1	8518,0	17447,9	3167,7	14280,2	16085,0	7115,0	8970,0
გადასახადები	6970,0	0,0	6970,0	7625,3	0,0	7625,3	7500,0	0,0	7500,0
გრანტები	3420,1	3205,1	215,0	3382,7	3167,7	215,0	7330,0	7115,0	215,0
სხვა შემოსავლები	1333,0	0,0	1333,0	6439,9	0,0	6439,9	1255,0	0,0	1255,0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

დასახელება	2018 წელი გეგმა	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის ფაქტი	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2019 წლის გეგმა	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
გადასახადები	6970,0	0,0	6970,0	7625,3	0,0	7625,3	7500,0	0,0	7500,0
საშემოსავლო გადასახადი	520,0	0,0	520,0	578,9	0,0	578,9	0,0	0,0	0,0
დღგ	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	650,0	0,0	650,0



ქონების გადასახადი	6450,0	0,0	6450,0	7046,4	0,0	7046,4	6850,0	0,0	6850,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	6280,0	0,0	6280,0	6746,1	0,0	6746,1	6680,0	0,0	6680,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3,0	0,0	3,0	2,5	0,0	2,5	3,0	0,0	3,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2,0	0,0	2,0	3,4	0,0	3,4	2,0	0,0	2,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	82,0	0,0	82,0	95,6	0,0	95,6	82,0	0,0	82,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	83,0	0,0	83,0	198,8	0,0	198,8	83,0	0,0	83,0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7330,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წელი გეგმა	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის ფაქტი	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2019 წელი გეგმა	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
გრანტები	3420,1	3205,1	215,0	3382,7	3167,7	215,0	7330,0	7115,0	215,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	3420,1	3205,1	215,0	3382,7	3167,7	215,0	7330,0	7115,0	215,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	215,0	0,0	215,0	215,0	0,0	215,0	215,0	0,0	215,0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	215,0	0,0	215,0	215,0	0,0	215,0	215,0	0,0	215,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3205,1	3205,1	0,0	3167,7	3167,7	0,0	7115,0	7115,0	0,0
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	3205,1	3205,1	0,0	3167,7	3167,7	0,0	6193,0	6193,0	0,0



სოფლის მხადრაჭერის პროგრამა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	922,0	922,0	0,0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1255,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წელი გეგმა	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის ფაქტი	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2019 წლის გეგმა	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
სხვა შემოსავლები	1333,0	0,0	1333,0	6439,9	0,0	6439,9	1255,0	0,0	1255,0
შემოსავლები საკუთრებიდან	670,0	0,0	670,0	816,8	0,0	816,8	492,0	0,0	492,0
პროცენტები	500,0	0,0	500,0	594,8	0,0	594,8	300,0	0,0	300,0
რენტა	170,0	0,0	170,0	222,0	0,0	222,0	192,0	0,0	192,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	60,0	0,0	60,0	97,0	0,0	97,0	82,0	0,0	82,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	110,0	0,0	110,0	125,0	0,0	125,0	110,0	0,0	110,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	463,0	0,0	463,0	784,4	0,0	784,4	513,0	0,0	513,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	443,0	0,0	443,0	758,8	0,0	758,8	493,0	0,0	493,0
სანებართვო მოსაკრებელი	6,0	0,0	6,0	4,7	0,0	4,7	6,0	0,0	6,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	7,0	0,0	7,0	8,4	0,0	8,4	7,0	0,0	7,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	400,0	0,0	400,0	693,5	0,0	639,5	450,0	0,0	450,0



ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	30,0	0,0	30,0	44,1	0,0	44,1	30,0	0,0	30,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0	8,1	0,0	8,1	0,0	0,0	0,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	20,0	0,0	20,0	25,6	0,0	25,6	20,0	0,0	20,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	20,0	0,0	20,0	10,3	0,0	10,3	20,0	0,0	20,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	200,0	0,0	200,0	280,5	0,0	280,5	250,0	0,0	250,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0,0	0,0	0,0	4558,2	0,0	4558,2	0,0	0,0	0,0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9387,7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წელი გეგმა	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2018 წლის ფაქტი	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2019 წელი გეგმა	მ.შ.სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
ხარჯები	7883,1	0,2	7882,9	6754,5	0,2	6754,3	9387,7	745,2	8642,5
შრომის ანაზღაურება	1989,6	0,0	1989,6	1902,2	0,0	1902,2	2156,0	0,0	2156,0
საქონელი და მომსახურება	1029,2	0,0	1029,2	750,6	0,0	750,6	2523,9	745,2	1778,7
პროცენტი	112,6	0,0	112,6	111,9	0,0	111,9	57,3	0,0	57,3
სუბსიდიები	3124,1	0,0	3124,1	2895,5	0,0	2895,5	3437,4	0,0	3437,4
გრანტები	40,0	0,0	40,0	40,0	0,0	40,0	55,0	0,0	55,0
სოციალური უზრუნველყოფა	790,2	0,0	790,2	688,5	0,0	688,5	783,0	0,0	783,0



სხვა ხარჯები	797,2	0,0	797,2	365,8	0,2	365,6	375,1	0,0	375,1
--------------	-------	-----	-------	-------	-----	-------	-------	-----	-------

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 10371,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 10481,5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება		2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი		8305,4	6713,8	10481,5
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	131,2	94,2	24,3
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	7641,8	6409,5	7933,0
04 00	განათლება	526,4	204,2	2127,1
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	0,0	0,0	10,5
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	386,6

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 110,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	110,0	59,2	110,0
ძირითადი აქტივები	30,0	3,1	30,0
არაწარმოებული აქტივები	80,0	56,1	80,0
მიწა	80,0	56,1	80,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია



განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ქრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	2019 წელი გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2904,2	2630,7	2985,7
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2781,6	2518,8	2926,5
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2754,7	2518,8	2778,4
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	26,9	0,0	148,1
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	122,6	111,9	59,2
702	თავდაცვა	96,3	89,5	102,8
704	ეკონომიკის საქმიანობა	7658,4	6151,9	7934,8
7045	ტრანსპორტი	5928,0	5006,1	6399,1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5928,0	5006,1	6399,1
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1710,4	1145,8	1535,7
705	გარემოს დაცვა	847,0	704,8	761,2
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	847,0	704,8	761,2
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	928,3	669,2	1879,5
7061	ბინათმშენებლობა	0,0	0,0	0,0
7063	წყალმომარაგება	683,4	463,1	788,7
7064	გარე განათება	105,0	103,3	120,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	139,9	102,8	986,8
707	ჯანმრთელობის დაცვა	164,0	163,2	549,6
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	164,0	163,2	549,6
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1267,4	1236,0	1399,8
7081	მომსახურება დასვენების და სპორტის სფეროში	702,0	682,6	758,9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	550,4	540,1	625,0



7083	ტელერადიომაუწლებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	15,0	13,3	15,9
709	განათლება	1510,6	1112,4	3470,9
7091	სკოლამდელი აღზრდა	984,2	908,2	1225,8
7092	ზოგადი განათლება	526,4	204,2	2245,1
70923	საშუალო ზოგადი განათლება	526,4	204,2	2245,1
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0,0	0,0	0,0
710	სოციალური დაცვა	812,3	710,6	784,9
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	6,0	6,0	6,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	6,0	6,0	6,0
7104	ოჯახებისა და ბავშვის სოციალური დაცვა	395,0	378,5	410,0
7106	საცხოვრებელი უზრუნველყოფა	82,1	50,3	61,9
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	329,2	275,8	307,0
	სულ	16188,5	13468,3	19869,2

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - **3674,2** ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -3862,2 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება - 3862,2 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -188,0 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 148,1 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული



მიზნობრივი ტრანსფერი, 215,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 105,6 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 102,4 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 7,0 ათასი ლარი;

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

2. 00 თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების, აგრეთვე, საგზაო უსაფრთხოების ამოცანათა განხორციელება ბოლო წლებში ინტენსიურად ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ. მუნიციპალიტეტი შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფს მათი საქმიანობის ხელშეწყობას, რაც გამოიხატება კომუნალური ხარჯების ანაზღაურებაში.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

02 03 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის კოორდინაცია. თავდაცვის სამინისტროს მიერ მოცემული სამუშაოების შესრულება.

03 00 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა, ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსდება.

მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობას შეექმნება შესაბამისი ინფრასტრუქტურული გარემო, რაც უზრუნველყოფს მათ კომფორტს.

03. 01 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა-შენახვის ხარჯები

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციას და მოვლა-შენახვას აგრეთვე, სასოფლო გზების რემონტსაც.



- ქ. ახალქალაქში ქუჩების დახაზვის სამუშაოები და საგზაო ნიშნების (N3.1 – 5ც; N27– 4ც; N 3.18.1 – 3 ც; N 3.18.2 – 3ც; N2.4 – 2ც) დაყენება
- საგზაო ნიშნების დაყენება და ბარიერების მოწყობა
- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლების გზების გაწმენდა თოვლისაგან
- სოფ. კუმურდოს საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზის მოასფალტება
- ქ. ახალქალაქის ქუჩების დაზიანებული ა/ბეტონის საფარის შეკეთება
- ყოფილი მე-15 სამხედრო ქალაქის მრავალბინიანი სახლების ეზოების მოასფალტება
- სოფ.ვაჩიანის საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზის და საცალფეხო ბილიკის მოასფალტება
- სოფ ბარალეთ-კოჩიო გზის მოასფალტების I ეტაპის დასრულება
- სოფ ბარალეთ-კოჩიო გზის მოასფალტების (II ეტაპი) სოფ. კოჩიოდან სოფ. ალათუმანამდე
- ახალქალაქი-თურქეთის საზღვარის ფედერალური გზიდან ვაჩიანი-ოკამის გზის მოასფალტება
- სოფ. ბავრა-კარტიკამ-აბულამდე გზის მოასფალტება
- ახალქალაქი-არაგვა-გომანი საავტომობილო გზიდან ზაკი-ბულაშენი-მერენია-იხტილის გზის მოასფალტება
- ქ.ახალქალაქში, თბილისის ქუჩის მოასფალტება
- აღმაშენებლის ქ. №34, №36 -ში მდებარე მრავალსართულიანი სახლების ეზოების მოასფალტება
- ქ.ახალქალაქში მასივ ჯივანის მე-3 შესახვევის მოასფალტება
- საგზაო ნიშნების დაყენება
- ქ.ახალქალაქის გზებზე ორმოების შესაკეთებისათვის
- სოფლის გზების გრეიდერით გასწორებისა და მოხრეშვისათვის
- გოგაშენ-ვარძიის გზის დასუფთავება სტიქიის შედეგად.

მოსალოდნელი შედეგი:

რეაბილიტაციის შემდეგ ქუჩების მდგომარეობა გაუმჯობესდება, მოსახლეობა ისარგებლებს სუფთა და მოხერხებული გზებით, იმომრავებს კომფორტულად.

შედეგის ინდიკატორები:

წლის განმავლობაში რეაბილიტირებული გზის სიგრძე

წლის განმავლობაში რეაბილიტირებული გზის ფართობი.

03 02 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წყლის სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობას და ტერიტორიის გამწვანება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, გარე განათების მომსახურებას, მყარი ნარჩენების შეგროვებას და გატანას, მუნიციპალური გზების კეთილმოწყობას, ზამთრის პერიოდში ქალაქის ქუჩების, ტროტუარებისა და მრავალსართულიანი შენობის სახურავების, მათის ეზოების გაწმენდას, თოვლისა და ყინულისაგან, მუნიციპალიტეტის წრალმომარაგებისა და სარწყავი სისტემების მომსახურებას გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი.

მოსალოდნელი შედეგი:

მოსახლეობა სადღეღამისოდ უზუნველყოფილი იქნება წყლით, რომელიც დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის განვითარებაზე. დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება. სუფთა და კეთილმოწყობილი ქუჩა ქალაქის სახეა. ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

03 02 01 წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია

წყალმომარაგების პრობლემა მნიშვნელოვანი საკითხია ყველასათვის. ჩატარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- სოფ. ხორენიას სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაცია
- სოფ. ვარევანის სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაცია
- სოფ. ტრკნაში სასმელი წყლის ახალი წყალსადენის გაყვანა და რეზერვუარის მოწყობა
- ალათუმანის სასმელი წყლის ახალი წყალსადენის გაყვანა



- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლების სარწყავი არხები(რეაბილიტაცია, გაყვანა, გასუფთავება)
- სოფ.კუმურდოში წყალსაცავისთვის წყალსადენის გაყვანა
- სოფ.ორჯაში წყალსადენის რეაბილიტაცია
- სოფ.ბოზალის სკოლისთვის წყალმომარაგების სისტემის გაყვანა
- სოფ.კარწახის სკოლის წყალმომარაგების სისტემის
- სოფ.მერენიაში მდინარის კალაპოტის გასუფთავება
- სოფ.გოკიოში სარწყავი სისტემის მოწყობა
- სოფ.იხტილაში საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია
- წყალსადენი არხის მოწყობა სოფ.ოკამის წყლის რეზერვუარისთვის
- სოფ.ოლავერდში წყალსადენის რეაბილიტაცია

მოსახლოდნელი შედეგი: მოსახლეობა სადღეღამისოდ უზუნველყოფილი იქნება წყლით, რომელიც დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის განვითარებაზე.

შედეგის ინდიკატორები:

კაპიტალურად რეაბილიტირებული სასმელი წყლის წყალსადენის საერთო სიგრძე.

03 02 03 გარე განათების მოწყობა და ექსპლოატაცია

2019 წელს ახალქალაქის ქუჩებზე დაგეგმილია გარე განათების ელ.ენერჯის მომსახურების ხარჯი.

მოსალოდნელი შედეგი: კეთილმოწყობილი ქუჩა ქალაქის სახეა. დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგის ინდიკატორები:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული განათებული გზების პროცენტულობა.

3. 02 05 ახალქალაქის სერვისცენტრი

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ – ახალქალაქის სერვისცენტრი, რომელიც ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობას და ტერიტორიის გამწვანებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავებას, გარე განათების მომსახურებას, მყარი ნარჩენების შეგროვებას და გატანას, მუნიციპალური გზების კეთილმოწყობას, ზამთრის პერიოდში ქალაქის ქუჩების, ტროტუარებისა და მრავალსართულიანი შენობის სახურავების, მათი ეზოების გაწმენდას თოვლისა და ყინულისაგან, მუნიციპალიტეტის წრალმომარაგებისა და სარწყავი სისტემების მომსახურებას.

ქ. ახალქალაქში ახალი პარკის მშენებლობა.

მოსალოდნელი შედეგი:

სუფთა და კეთილმოწყობილი ქუჩა ქალაქის სახეა. ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგის ინდიკატორები:

სკვერების რაოდენობა, სადაც ხორციელდება მიმდინარე მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

ქ. ახალქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასანათებელი მოწყობილობები არსებობა.

მონიტორების რაოდენობა რომელზეც ხორციელდება მიმდინარე მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

03 03 მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილმოწყობის უზრუნველყოფა,

- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესადაა დაარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის (საჭიროების შემთხვევაში ევთანაზიისა და ცხოველთა სამარხში გადაყვანის)



მომსახურება.

- სხვადასხვა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისათვის
- მშენებლობის ზედამხედველობის მომსახურება
- სოფ. აზავრეთის რიტუალების სახლში ელ.ენერჯის გაყვანა
- 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულად დაღუპულთა მემორიალის მოწყობა
- სოფ. იხტილას, მერენის, არაგვის, ხანდოს რიტუალების სახლების რეაბილიტაცია
- სოფ. ბეჯანოს სასოფლო კლუბის რეაბილიტაცია
- სოფ. ბარალეთის იუსტიციის სახლის ტერიტორიის კეთილმოწყობა
- ქ. ახალქალაქის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებში სავენტილაციო არხების დამონტაჟებისათვის
- მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია (თავისუფლების ქ. №34, №36 და ჭავჭავაძის ქ. №1)
- სოფ. ალასტანში საფეხმავლო ხიდის მშენებლობა
- სოფ. კოჩიოში საფეხმავლო ხიდის მშენებლობა
- სოფ. დადოლარში სოფლის კლუბის რეაბილიტაცია
- №1 სამხედრო ქალაქმდე მისასვლელი საფეხმავლო ხიდის ბილიკის მოწყობა - 29133 ლარი
- ხიდის რეაბილიტაცია სოფ. ვარევანში, სოფ. ალასტანსა და სოფ. კოჩიოში
- ხიდის რეაბილიტაცია ქ. ახალქალაქიდან №1 სამხედრო ქალაქმდე
- ხიდის რეაბილიტაცია სოფ. ხულგუმოში
- სოფ. ჩამდურის მინი სტადიონის რეაბილიტაცია
- სოფ. ხორენის ხიდის სავალი ნაწილის აღდგენისათვის
- ახალქალაქის მომავლის სახლის შენობის გარემონტება
- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ს. ბავრას დამაკავშირებელი ხიდის მოაჯირების რეაბილიტაცია
- ახალქალაქის ცენტრალური მოედნის შემოღობვა და სარბენი ბილიკის რეაბილიტაცია
- ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის მუზეუმის გაფართოება

მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანია აღნიშნული კეთილმოწყობის ღონისძიებები.

შედეგის ინდიკატორები:

ობიექტების რაოდენობა, სადაც ჩატარებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები

03 04 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები.

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, განხორციელდება როგორც გზების რეაბილიტაცია, ასევე სხვა პროგრამები, როგორცაა: წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება, სარიტუალო შენობების აშენება და სხვა. ყოველივე ამის შედეგად სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც იქნება მოსახლეობის მოთხოვნები დაკმაყოფილებული.

04 00 განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

მოსალოდნელი შედეგი: გაზრდილია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო.

04 01 სკოლამდელი განათლება

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს საბავშვო ბაღის გაერთიანება, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1050 მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, მასწავლებელთა, აღმზრდელთა ხელფასებს, კვებისა და სხვა მიმდინარე ხარჯებს.



მოსალოდნელი შედეგი: უზრუნველყოფილია მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დადგენილი სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისი შეუფერხებელი ფუნქციონირება.

შედეგის ინდიკატორები:

მუნიციპალურ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღსაზრდელთა საერთო რაოდენობა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რაოდენობა, სადაც უზრუნველყოფილია მუნიციპალური სერვისი.

04 02 ბავშვ-ბავშვის რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ხორციელდება ახალი ბავშვის მშენებლობა და არსებული მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია:

- სოფ. კუმურდოს საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია
- სოფ. ჩუნჩხაში საბავშვო ბაღის მშენებლობა
- სოფ. კულიკამში საბავშვო ბაღის მშენებლობა
- სოფ. კოჩიოს საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია
- ახალქალაქის №1 საბავშვო ბაღის გარემონტება
- ახალქალაქის №2 საბავშვო ბაღის გარემონტება
- ახალქალაქის №3 საბავშვო ბაღის გარემონტება
- ახალქალაქის №4 საბავშვო ბაღის გარემონტება

მოსალოდნელი შედეგი: რეაბილიტირებულია არსებული სააღმზრდელო ინფრასტრუქტურა და აშენებულია ახალი სააღმზრდელო დაწესებულება.

შედეგის ინდიკატორები:

აშენებული საბავშვო ბაღების რაოდენობა

კაპიტალურად რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების რაოდენობა

მშენებლობისა და რეაბილიტაციის შედეგად საბავშვო ბაღებში შექმნილი ახალი (სააღმზრდელო) ადგილების რაოდენობა.

04. 03 საჯარო სკოლების დაფინანსება

საქართველოს მთავრობის 8.02.2019 წლის №207 განკარგულების „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო მუშაოება და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

05. 00 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურულ-ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას, შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ გამოავლინონ თავიანთი სპორტული შესაძლებლობები.

მოსალოდნელი შედეგი:

კულტურული მემკვიდრეობის, სპორტული და რელიგიური განვითარების გაუმჯობესება და ხელშეწყობა.

05 01 სპორტის განვითარების ხელშეწყობა



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის შესაბამისი სავარჯიშო პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- სპორტული ღონისძიებების დაფინანსება
- საჭადრაკო სკოლა, სადაც სწავლობს 90 -მდე მოსწავლე;
- სპორტული სკოლა; სადაც ირიცხება 180 -მდე სპორტსმენი;
- სპორტკომპლექსი; სადაც 465 -მდე სპორტსმენია;
- საცურაო აუზი, სადაც 60-მდე მოსწავლეა.

მოსალოდნელი შედეგი:

გაზრდილია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა სპორტული მიღწევები. ახალგაზრდების დაინტერესება სპორტით და მათი პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბება.

შედეგის ინდიკატორები:

პროგრამის ფარგლებში სამოყვარულო სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა

მუნიციპალურ სპორტულ ღონისძიებებში ჩართულ მოზარდთა რაოდენობა

მუნიციპალური კლუბების მიერ ეროვნულ ჩემპიონატებში დაკავებული საპრიზო ადგილების რაოდენობა

პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი სპორტსმენების მიღწევების რაოდენობა საერთაშორისო სპორტულ აქტივობებში.

05 01 01 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება

დაფინანსებული იქნება სხვადასხვა სპორტული პირველობები, აგრეთვე, სხვა ჩატარებული ღონისძიებები. თანხები გამოყოფილი იქნება აგრეთვე დიპლომებისა და მედლების შესაძენად, რათა გამარჯვებული სპორტსმენები შესაბამისად დაჯილდოვდნენ. ჩატარებული იქნება შემდეგი ღონისძიებები:

- სასკოლო სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები
- საზაფხულო საბავშვო ბანაკის „ტაშვანკას“ ორგანიზება.
- ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკის „I see you -გაიცანი ახალქალაქის მუნიციპალიტეტი“
- ა(ა)იპ – სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბ „ტაოში“ გაწევრიანებისათვის
- პან-სომხური თამაშებში მონაწილეობა.

მოსალოდნელი შედეგი:

ჩატარებულია საერთაშორისო სპორტული ტურნირები, ადგილობრივი და უცხოელი სპორტსმენების მონაწილეობით.

შედეგის ინდიკატორები:

საერთაშორისო სპორტული ტურნირებში მონაწილეობის რაოდენობა

ადგილობრივ ჩემპიონატებში მონაწილე სპორტსმენთა რაოდენობა

ტურნირებში მონაწილე ადგილობრივი სპორტსმენების რაოდენობა

05 01 02 სპორტული სკოლა

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სპორტული სკოლა, სადაც ირიცხება 180-მდე სპორტსმენი; ჰყავს ფეხბურთის გუნდი „აბული“, რომელიც მონაწილეობს საქართველოს ჩემპიონატში ფეხბურთში. სკოლაში ფუნქციონირებს 7 სახეობა: ჭაბუკთა ფეხბურთი და მინიფეხბურთი, ფრენბურთი, კარატე, რაგბი, მაგდის ჩოგბურთი, თავისუფალი სტილის ჭიდაობა. ხელს უწყობს მათი სპორტული ცხოვრების მომავალ



განვითარებას და აგრეთვე მათ ჯანმრთელობას. სკოლა ჩაატარებს მუნიციპალიტეტის პირველობას ფეხბურთში, ფრენბურთში, კარატეში, რაგბში, მაგდის ჩოგბურთში, თავისუფალი სტილის ჭიდაობაში.

მოსალოდნელი შედეგი:

